SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

სს სარაჯიშვილის აქციონერს ბატონ/ქალბატონ

N: 01-25/30
10 ივლისი 2025
ფასიანი ქაღალდების
(აქციების) ანგარიშის
გახსნის შესახებ

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, ამ კანონის 56[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ფასიანი ქაღალდების (აქციების) ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობების საკითხების (მათ შორის აქციების ყიდვა-გაყიდვის, დივიდენდების მიღებისა და სხვა საკითხების) მოწესრიგება უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით.ზემოთხსენებული კანონის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ფასიანი ქაღალდების (აქციების) მფლობელებმა უნდა გახსნან ფასიანი ქაღალდების (აქციების) ანგარიში ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებთან.

ვინაიდან აქციათა რეესტრში თქვენი პირადობის დამადასტურებლად ნაჩვენებია ყოფილი საბჭოთა კავშირის პასპორტის მონაცემები, ამიტომ ბროკერთან მისვლამდე თქვენ უნდა გამოცხადდეთ სს „სარაჯიშვილში“ (თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N:4) თქვენი პირადობის მოწმობით ან პასპორტით, პირადობის მონაცემების განახლებისთვის, რის საფუძველზე ჩვენ მოგცემთ ცნობას თქვენი კუთვნილი აქციების რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა წარუდგინოთ საბროკერო კომპანიას ანგარიშის გასახსნელად.

ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიაში ფასიანი ქაღალდების(აქციების) ანგარიშის გახსნამდე ჩერდება ფასიანი ქაღალდების (აქციების) ფლობიდან გამომდინარე უფლებები, (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება, აქციების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია, დივიდენდების მიღება და სხვა).ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ დააჩქაროთ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიაში აქციების ანგარიშის გახსნა.ფასიანი ქაღალდების (აქციების) ანგარიშის გახსნისთანავე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ნებისმიერი ფორმით ან დაგვიკავშირდით მობ. ტელეფონზე: 579-08-13-13; ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ანგარიშის მწარმოებელ საბროკერო კომპანიის დასახელებას და ანგარიშის გახსნის თარიღს.

სს „სარაჯიშვილის“ გენერალური
დირექტორი : _____ (ზ.ბუბუტეიშვილი)

ს ს ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი
ღვინის ბრენდისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი
სარაჯიშვილის გამზ. 4, თბილისი 0153

JSC SARAJISHVILI
Manufacturer of Fine Wine Brandy & Alcohol
4 Sarajishvili Ave., 0153 Tbilisi, Georgia